თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 09

04 სექტემბერი 2024 წ. **ქ. თელავი**

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი;**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: **ალექსანდრე შათირიშვილი,**

მიხეილ დაღუნდარიძე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და
იურდიულ საკითხტა კომისიის თავმჯდომარე **უჩა ჭოტიაშვილი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების,
ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის
თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **ზაზა ტატულიშვილი, ზურაბ მუსაევი, ოთარი ესიტაშვილი, მარიამ ლილუაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **აბრაამ მახარიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ჩვენი თელავი “** თავმჯდომარის მოადგილე **ალექსი ბულიაშვილი;**

საკრებულოს წევრები: **ნიკოლოზ მაისურაძე, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, რუსუდან იმერლიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი;

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და განმარტა, რომ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შესაბამისად ვალდებულია 6 სექტემბრამდე გამოაქვეყნოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დალაგებული სტენდების შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნულის შემდგომ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

დღის წესრიგის პროექტი

1. 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. უ.ჭოტიაშვილი

10.00სთ-დან

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. უ.ჭოტიაშვილი

10.00სთ-დან

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **რ.იმერლიშვილმა** აღნიშნა, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტს უნდა ქონდეს თანაბარი შესაძლებლობა სააგიტაციო მასალის გამოსაფენად.

ა.მახარიაშვილმა ისაუბრა ყველა საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაზე, რომ არჩევნების შემდგომ ყველამ უნდა უზრუნველყოს მის მიერ გამოფენილი სააგიტაციო მასალის აღება.

ა.მჭედლიშვილმა დასვა კითხვა საარჩევნო სუბიექტის რაიონული ორგანიზაციის შენობაზე მიმანიშნებელი აბრის განთავსების პროცედურასთან დაკავშირებით, რაზეც მიიღო შესაბამისი განმარტება.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **20 (ოცი)** წევრმა).**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03 (სამი) წევრმა:** რ.იმერლიშვილმა, ა.ძულიაშვილმა, ა.კუპატაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზ მთვარელიშვილი**